



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

29 იანვარი 2024



N 45/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სს „RMG Copper“-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (საწარმოს წარმადობის გაზრდა და დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სს „RMG Copper“-ის (ს/კ 225358341) მიერ, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2023 წლის 15 აგვისტოს (წერილი N7914) წარმოდგენილ იქნა ბოლნისის მუნიციპალიტეტში, მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (საწარმოს წარმადობის გაზრდა და დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანებები N433/ს და N662/ს), შესაბამისი უწყებების ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია განთავსდა ცენტრის მიერ გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია სს „RMG Copper“-ის მიერ.

2022 წლის 3 თებერვალს სს „RMG Copper“-ის მიერ, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოდგენილ იქნა მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ახალი კუდსაცავის, მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა და საწარმოს წარმადობის გაზრდა) სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის ბრძანება N2-301 (18.04.2022); სკოპინგის დასკვნა N15).

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N21/9412), სს „RMG Copper“-ის მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია (წერილი N11347). კერძოდ: დაზუსტდა საპროექტო ობიექტების GPS კოორდინატები და Shp ფაილები, მათ შორის სამსხვრევი დანადგარისა და მისასვლელი გზის განთავსების კოორდინატი და Shp ფაილები. ასევე დაზუსტდა სამსხვრევი დანადგარის წარმადობა, სამუშაო გრაფიკი, გადასამუშავებელი და მიღებული პროდუქტის რაოდენობა, სამსხვრევი დანადგარის მსხვრევის მეთოდი, მე-4 სანაყაროს გაფართოების შესახებ ინფორმაცია, ასევე ხმაურის გაანგარიშება დაგეგმილი სამსხვრევის განთავსების წერტილის გათვალისწინებით. დამატებით ინფორმაციაში განხილულია ხელფრთიანებზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი და ხეების ჭრის შემთხვევაში ხელფრთიანებისთვის დაგეგმილი შემარბილებელი

ლონისძიებების შესახებ ინფორმაცია, ასევე წარმოდგენილია ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვებისა (ზდჩ) და ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების (ზდგ) გადამუშავებული პროექტები. დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია ცენტრის მიერ განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთში სს „RMG Copper“-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე 2019 წლის 8 ივლისს გაცემულია **გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N2-626)**. აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა სს „მადნეულის“ „სპილენძის მადნის მოპოვებასა და სპილენძის კონცენტრატის წარმოების საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 3 თებერვლის N62 და „სს „RMG Copper“-ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 20 სექტემბრის Ni-264 ბრძანებები. წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშით დაგეგმილია 2019 წლის 8 ივლისს **გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება N2-626)** გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება.

სს „RMG Copper“-ზე გაცემულია შემდეგი გადაწყვეტილებები:

- სპილენძ-პოლიმეტალური კარიერის ფუჭი ქანების სანაყაროებიდან დრენირებული დაბინძურებული წყლის გამწმენდი ნაგებობების მოწყობა-ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება **(13.11.2020 - ბრძანება N2-1051)**;
- მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება **(08.07.2019 - ბრძანება N2-626)**;
- სს „RMG Copper“-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ტექნიკური გადაიარაღება) სკრინინგის გადაწყვეტილება **(13.11.2019 - ბრძანება N2-1094)**;
- სს „RMG Copper“-ის ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილება **(16.11.2018 - ბრძანება N2-926)**;

გამომდინარე იქიდან, რომ ყველა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება (როგორც გარემოსდაცვითი და აგრეთვე სკრინინგის გადაწყვეტილებები) გაცემულია სს „RMG Copper“-ზე და ისინი ტექნიკურად და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია, სს „RMG Copper“-ს მოთხოვნილი აქვს ახალი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება და გაცემული გადაწყვეტილებების ძალადაკარგულად გამოცხადება. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშში მოცემულია გარემოსდაცვითი და სკრინინგის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული საქმიანობების ანალიზი და შეფასებულია მათი ზემოქმედება გარემოს კომპონენტებზე. ასევე, მოცემულია ინფორმაცია მიმდინარე საქმიანობის ფარგლებში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2021 წელს განხორციელდა სს „RMG Copper“-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 8 ივლისის N2-626 ბრძანებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი ვალდებულებებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შემოწმება. ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2022 წლის 20 მაისს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №059389 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა ბოლნისის რაიონულ სასამართლოს. სასამართლომ, 2022 წლის 4 ივლისის №4/ა-91-22

დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სს „RMG Copper“-ს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2022 წლის 8 ნოემბრის №003113 ადმინისტრაციული მიწერილობით განესაზღვრა ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობების შესრულება. მათ შორის დაევალა საწარმოს სააკუმულაციო ბუნკერების აირმტვერდამჭერი მოწყობილობების მონტაჟის სამუშაოების ჩატარება.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2021 წელს განხორციელდა სს „RMG Copper“-ის სპილენძ-პოლიმეტალური კარიერის ფუჭი ქანების სანაყაროებიდან დრენირებული დაბინძურებული წყლის გამწმენდი ნაგებობების მოწყობა-ექსპლუატაციაზე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 13 ნოემბრის №2-1051 ბრძანებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი ვალდებულებებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება. შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2022 წლის 22 მარტს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ N064477 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა ბოლნისის რაიონულ სასამართლოს. სასამართლომ, 2022 წლის 20 ივნისის N4/ა-50-22 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სს „RMG Copper“-ს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2022 წლის 29 სექტემბრის №003096 ადმინისტრაციული მიწერილობით განესაზღვრა ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობების შესრულება. მათ შორის დაევალა გამწმენდი ნაგებობის ნაკვეთის პერიმეტრის შემოსაზღვრა სადრენაჟო არხით.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2023 წლის პირველ დეკემბერს განხორციელდა ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფ. დაბა კაზრეთის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სს „RMG Copper“-ის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს ტერიტორიის ინსპექტირება, რომლის შედეგად დადგინდა, რომ კომპანიამ საწარმოს ტერიტორიაზე განახორციელა დამატებით 30000 მ³ მოცულობის სანიაღვრე წყლების წყალშემკვრები აუზის მოწყობა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2023 წლის 20 დეკემბერს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №087901 ოქმი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, რომელიც სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2023 წლის 21 დეკემბრის №DES 8 23 00095207 წერილის თანახმად, განსახილველად გადაეგზავნა ბოლნისის მაგისტრატ სასამართლოს.

სს „RMG Copper“-ის სამთო-გამამდიდრებელი საწარმო განთავსებულია დაბა კაზრეთში, რომლის შემადგენლობაში შედის: ღია სამთო სამუშაოების კარიერი, გამამდიდრებელი ფაბრიკა, ფუჭი ქანების სანაყაროები, კუდსაცავი და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურა, მათ შორის ქიმიური გამწმენდი ნაგებობები. მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ტექნიკური გადაიარაღების (მოდერნიზაციის) ხარჯზე დაგეგმილია საწარმოს წარმადობის გაზრდა (წელიწადში 2,5 მლნ ტონის ნაცვლად - 3,00 მლნ ტონა). გამოშვებული პროდუქტის სახეობებია სპილენძის კონცენტრატი და კოლექტიური ოქროსშემცველი ტყვია-თუთიის კონცენტრატი. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში ასევე დაგეგმილია დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა, როგორცაა საპროექტო კუდების შემსქელებელი და სატუმბო ინფრასტრუქტურა, სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი, ჩატვირთვის უბანი, ტყვია-თუთიის

კოლექტიური კონცენტრატის შემსქელებელი, სხვადასხვა ზომის მიწის გუბურები და მობილური რეზერვუარები.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო ალტერნატივების ანალიზი, მათ შორის განხილულია არაქმედების ალტერნატივა, ადგილმდებარეობის ალტერნატივა, ტექნოლოგიური ალტერნატივები. არაქმედების ალტერნატივა უარყოფილ იქნა სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. დაგეგმილი ცვლილებების ფარგლებში გათვალისწინებული ინფრასტრუქტურა (მაღალი კომპრესიის შემსქელებელი და სატუმბი, სამხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი და ჩატვირთვის უბანი, ტყვია-თუთის კოლექტიური კონცენტრატის შემსქელებელი და სატუმბი) წარმოადგენს არსებული გამამდიდრებელი საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის ნაწილს და ტექნიკური ხაზის გაგრძელებას, შესაბამისად ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის განხილული იყო გამამდიდრებელი საწარმოს მიმდებარე ტერიტორიები, სადაც უკვე არსებობს კომუნიკაციები და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურა. გამამდიდრებელი ფაბრიკის ტექნოლოგიურ პროცესში (ფლოტაცია) წარმოქმნილი კუდების შესქელებისთვის მაღალი კომპრესიის შემსქელებელი და სატუმბი ინფრასტრუქტურის განთავსება დაგეგმილია არსებული და მწყობრიდან გამოსული, წლების განმავლობაში უმოქმედო შემსქელებლის ადგილას. დოკუმენტაციის თანახმად, გამამდიდრებელი ფაბრიკის მადნის მიმღები მოედნის მიმდებარედ, სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის განთავსებისთვის შერჩეული ტერიტორია ხელსაყრელია ტექნოლოგიური პროცესებისთვის, აქვს მისასვლელი გზის გაფართოების შესაძლებლობა და მადანსაზიდი ტრანსპორტისთვის უსაფრთხო და მარტივი მისადგომობა. საპროექტო ჩატვირთვის ბუნკერის გამამდიდრებელი საწარმოს წვრილი მსხვრევის საამქროს მიმდებარედ განთავსება გადაწყვეტილ იქნა ტექნოლოგიური პროცესის მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, საპროექტო ბუნკერი კონვეიერის საშუალებით პირდაპირ დაუკავშირდება წვრილი მსხვრევის გალერეას, საიდანაც მოქმედი მიწისქვეშა ლენტური კონვეიერის საშუალებით მიეწოდება სააკუმულაციო ბუნკერებს და განაგრძობს საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლს. ხოლო გარემოსდაცვითი, უსაფრთხოების და ეკონომიკური თვალსაზრისით მიღებულ იქნა მაღალი კომპრესიის შემსქელებელი დანადგარის მოწყობის გადაწყვეტილება, რომელიც უზრუნველყოფს კუდების შესქელებას საშუალოდ 55% მყარი ნაწილაკების შემცველობამდე. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ვინაიდან, დაგეგმილი საქმიანობის ნაწილი არსებული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას წარმოადგენს, მათი განთავსების ალტერნატიული ვარიანტების განხილვა არ მომხდარა.

სს „RMG Copper“-ის სამთო-გამამდიდრებელი ფაბრიკის მთავარი კორპუსიდან მანძილი უახლოეს დასახლებამდე (დაბა კაზრეთი) 540 მეტრს შეადგენს. გზშ-ის ანგარიშში მოცემულია არსებული გამამდიდრებელი საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის (დამსხვრევა, დაფქვა, ფლოტაცია, ძირითადი და საკონტროლო ფლოტაცია და ა.შ) აღწერა- საწარმოში მისი მიღებიდან გადამუშავებამდე. კერძოდ, მადნის დროებითი საწყობის ტერიტორიაზე დაგროვილი მადანი მიეწოდება სამსხვრევ საამქროს, სადაც წარმოებს მადნის მსხვილად, საშუალოდ და წვრილად დამსხვრევა. დამსხვრეული მადანი დასაფქვავად მიეწოდება შესაბამის წისქვილებს. დაფქვილი მადანი მიეწოდება საფლოტაციო მანქანებს, სადაც ტექნოლოგიით გათვალისწინებული რეაგენტების მეშვეობით ხორციელდება ფლოტაციის პროცესი. ფლოტაციის განყოფილება მდებარეობს გამამდიდრებელი ფაბრიკის მთავარ კორპუსში. იგი სამი სექციისაგან შედგება: I და II სექციები მუშაობენ იდენტური სქემის მიხედვით, ამ სექციებზე იოლად და საშუალოდ გასამდიდრებელი მადნების ფლოტაცია მიმდინარეობს, III სექციაზე ამჟამად მიმდინარეობს რთულად გადასამუშავებელი მადნის ფლოტაცია. მოდერნიზაციის სამუშაოების დასრულების შემდეგ რთულად გადასამუშავებელი მადნის ფლოტაცია შესაძლებელი იქნება სამივე სექციაზე. ტექნოლოგიით გათვალისწინებული pH=4 ტუტე გარემო მიიღწევა კირის რძის დამატებით, რომელიც მზადდება კირის საამქროში. შემდეგ მიღებული მასა შესქელების უბნის გავლით გადადის საფილტრ-საშრობ განყოფილებაში გასაშრობად, რომლის შემდეგაც მიიღება მზა პროდუქცია.

გზმ-ის ანგარიშში მოცემულია ასევე ინფორმაცია ლიცენზირებული კარიერების (მადნეულის სპილენძ-ბარიტ-პოლიმეტალური საბადო, საყდრისის საბადო, ბექთაქარის საბადო, ბნელიხევის საბადო, მუშევანი 2-ის საბადო) შესახებ. სს „RMG Copper“-ის გამამდიდრებელ ფაბრიკაში ხორციელდება მადნეულის, საყდრისის და ბექთაქარის საბადოებიდან მოპოვებული მადნის გადამუშავება. არსებული გამამდიდრებელი ფაბრიკის წარმადობის გაზრდის შემდეგ კომპანიას დაგეგმილი აქვს ბნელიხევის და მუშევანი 2-ის საბადოებიდან, ასევე სხვა კარიერებიდან და საბადოებიდან მოპოვებული მსგავსი ტიპის მადნების გადამუშავება, საწარმოში მოქმედი ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად და გადამუშავების ტექნოლოგიის (ფლოტაცია) შეუცვლელად. გზმ-ის ანგარიშში აღწერილია მადნეულის, საყდრისის, ბექთაქარის, ბნელიხევის და მუშევანი 2-ის საბადოებიდან მადნის ტრანსპორტირების საკითხები და მადნის ტრანსპორტირების გრაფიკები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სს „RMG Copper“-ის არსებული სამსხვრევი დანადგარები არ არის გათვალისწინებული მცირე ზომის ფრაქციის მისაღებად. შესაბამისად, დაგეგმილია დამატებითი 100.8 ტ/სთ წარმადობის სამსხვრევი კვანძის განთავსება. საპროექტო სამსხვრევი-დამხარისხებელი დანადგარი, შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და ტექნოლოგიური აგრეგატებით, განთავსდება სს „RMG Copper“-ის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, მადნის მიმღები მოედნის მიმდებარედ (განთავსების GPS კოორდინატები: X-452405.81; Y-4580291.90). მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების მიხედვით, საპროექტო სამსხვრევი-დამხარისხებელი დანადგარის განთავსების ადგილიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე (დაბა კაზრეთი) მანძილი შეადგენს დაახლოებით 1 კმ-ს. ანგარიშის მიხედვით, განსაზღვრულია ბექთაქარის საბადოდან შემოსული მადნის მოცულობის გაზრდა თვეში 10000 ტონით, რაც მთლიანობაში შეადგენს თვეში 20000 ტონას. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში წელიწადში დაგეგმილია 240000 ტონა (20000 ტ/თვეში) მადნის გადამუშავება. სამსხვრევი კვანძი იმუშავებს წელიწადში 240 დღე (2376 სთ/წელ). ანგარიშის მიხედვით, საპროექტო სამსხვრევის ყოველდღიური ფუნქციონირება დამოკიდებულია მადნის მიწოდების სიხშირეზე და კაზმში ნედლეულის საჭიროებაზე.

საპროექტო სამსხვრევიში გათვალისწინებულია მხოლოდ ბექთაქარის საბადოდან შემოტანილი მადნის გადამუშავება მშრალი მეთოდით. I სტადია ხორციელდება მსხვილი მსხვრევის დანადგარში, ყბიანი სამსხვრევის ბაზაზე 100 მმ-ზე ნაკლებ სისქემდე, ხოლო მეორე სტადია - კონუსურ სამსხვრევიში 20 მმ-ზე ნაკლებ სისქემდე. დამსხვრეული მასალის 20 მმ-ზე ნაკლები ზომის მისაღწევად I და II სტადიაზე დამსხვრეული მადანი გადის საკონტროლო გაცრას. I სტადიის მსხვრევის შემდეგ, ვიბრაციულ ცხავზე მოხვედრილი შედარებით წვრილი ფრაქციის (≤ 20 მმ) მადანი ლენტური კონვეიერის საშუალებით პირდაპირ, II სტადიის მსხვრევის გავლის გარეშე გადაიტვირთება დასაწყობების მოედანზე. ხოლო 20 მმ-ზე მეტი ზომის ფრაქცია მიეწოდება მსხვრევის II სტადიაზე კონუსურ სამსხვრეველებს, სადაც ხდება მისი საჭირო ზომამდე მსხვრევა.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, არსებული წვრილი მსხვრევის საამქროს მიმდებარედ ასევე დაგეგმილია ერთი დამატებითი, შუალედური ბუნკერის განთავსება, რომელიც კონვეიერის საშუალებით პირდაპირ დაუკავშირდება წვრილი მსხვრევის გალერეას. იგი არსებული წვრილი მსხვრევის სამსხვრევის მოქმედი მიწისქვეშა ლენტური კონვეიერის საშუალებით მიეწოდება სააკუმულაციო ბუნკერებს და განაგრძობს საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლს. შესაბამისად, მოხდება შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ ბექთაქარის საბადოდან ტრანსპორტირებული მადნის შესაბამის ზომამდე დამსხვრევა და დასაწყობების გარეშე, ავტოთვითმცლელით ან დამტვირთველით საპროექტო მადნის მიმღებ ბუნკერში პირდაპირ ჩაყრა. მიმღები ბუნკერის მოცულობა იქნება 38 მ³, ხოლო კონვეიერის სიგრძე 19 მ-მდე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სხვადასხვა კარიერებიდან მადნის შეუფერხებლად მიღების უზრუნველსაყოფად, მადნის მიმღები მოედნის მიმდებარედ მოეწყობა მისასვლელი გზა. მისასვლელი გრუნტის გზის სიგრძე შეადგენს დაახლოებით 318 მ, საშუალო სიგანე - 6 მეტრს, ხოლო საშუალო ქანობი

0.5%-ს. გზების სიგანე უზრუნველყოფს 35ტ ტვირთამწეობის ავტოთვიომცლელების ორმხრივ მოძრაობას. საპროექტო გზა გადის სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე.

პროექტით გამამდიდრებელი ფაბრიკის მიმდებარედ, გათვალისწინებულია ერთი მუშა და ერთი სათადარიგო მაღალი კომპრესიის შემსქელებელი დანადგარის მოწყობა, ფაბრიკის ტექნოლოგიურ პროცესში (ფლოტაცია) წარმოქმნილი კუდების (3.05 მლნ ტ/წ) შესქელებისთვის. კუდები შესქელდება საშუალოდ 55% მყარი ნაწილაკების შემცველობამდე. სათადარიგო შემსქელებელი დანადგარი უზრუნველყოფს შეუფერხებელ ოპერირებას მუშა შემსქელებლის ტექნიკური მომსახურების დროს ან პულპის დაღეჟვის პროცესის შენელების შემთხვევაში. შესქელებული კუდები ამცირებს ავარიის შემთხვევაში დაღვრისა და მიმდებარე ტერიტორიების დაზინძურების რისკს. გარდა ამისა, შესქელებული კუდების შემთხვევაში, გადატუმბვისთვის საჭირო ელექტროენერჯის მოხმარება დაახლოებით 40%-ით ნაკლებია არსებულთან შედარებით. შემსქელებლიდან კუდები თვითდინებით მიეწოდება შემრევ ავზს, სადაც შესქელებული კუდები ერთგვაროვანი (ჰომოგენური) ხდება. შემრევი ავზიდან კუდები მიეწოდება გამამდიდრებელი ფაბრიკის მთავარ ზუმფს, საიდანაც გადაიტუმბება კუდსაცავში, არსებული მილსადენის საშუალებით.

კუდების მართვის ტექნოლოგიური ციკლის შემადგენელი ელემენტია, ასევე რეაგენტის (ფლოკულანტი) შერევისა და დოზირების დანადგარი, რომელიც განთავსდება შემსქელებლის სიახლოვეს, ცალკე მდგომ შენობაში. გზშ-ის ანგარიშში განხილულია კუდების შემსქელებელ დანადგარში მიმდინარე პროცესები. შემსქელებელი დანადგარის ავარიული დაცლის უზრუნველსაყოფად დაგეგმილია 6000 მ³ მოცულობის საავარიო შემკრები ავზის (რეზერვუარის) მოწყობა, გამამდიდრებელი ფაბრიკის მიმდებარედ. საპროექტო შესქელების და სატუმბი სადგურის უბნები მთლიანად იქნება მობეტონებული და ტუმბოებით აღჭურვილი, რომელთა მეშვეობით მოხდება დაღვრილი მასის ტერიტორიიდან გატანა და მკვებავ ავზში დაბრუნება ან/და დაგეგმილ 6000 მ³ მოცულობის საავარიო შემკრები აუზისაკენ მიმართვა.

ბექთაქარის საბადოს პოლიმეტალური მადნის გადამუშავება ხორციელდება გამამდიდრებელი ფაბრიკის III ხაზზე. მადნის გამდიდრება ხორციელდება ფლოტაციური მეთოდით. დღე-ღამეში 1000 ტონა მადნის გადამუშავებიდან შესაძლებელია 80-100 ტ კონცენტრატის მიღება. ე.წ. III ხაზის ფილტრაციის კვანძის გაუმჯობესების მიზნით, დაგეგმილია ერთ-ერთი კერამიკული ფილტრის ნაცვლად იტალიური წარმოების Diemme Filtration-ის ME2000.F13 მოდელის მაღალი კომპრესიის პრეს-ფილტრის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის, რადიალური შემსქელებლის, მკვებავი ავზის, გადანადენი წყლის ავზის და ტუმბოების დამონტაჟება. აღნიშნული ინფრასტრუქტურა განთავსდება ფაბრიკის მიმდებარე ტერიტორიაზე. გაუწყლოების პროცესი წარიმართება ორ სტადიად: პირველ სტადიაზე კონცენტრატის „პულპა“ მიეწოდება რადიალურ შემსქელებელს (D 12m. HCT), რომელიც აღჭურვილია სპეციალური ფლოკულანტის დოზირების ავზით, სადაც ხდება რეაგენტი ფლოკულანტის (ანიონური აკრილამიდი) ხსნარის მომზადება და მისი ავტომატურ რეჟიმში დოზირება შემსქელებელში. შესქელებული პროდუქტი ტუმბოს საშუალებით ჩაიტუმბება მკვებავ ავზში. მეორე სტადიაზე 55-65%-მდე შესქელებული კონცენტრატი გასაფილტრად გადაიტუმბება მაღალი კომპრესიის პრეს ფილტრში. გაფილტვრის შემდეგ ხდება ფილტრის განტვირთვა და დარჩენილი მყარი მასისაგან დაცლა. წყალი გადაიტუმბება საწარმოს რეზერვუარში და ბრუნდება საწარმოს ჩაკეტილ ციკლში. გაფილტვრის დასრულების შემდეგ, ფილტრის ქსოვილი ირეცხება და ფილტრი მზადდება შემდეგი ციკლისათვის. ფილტრაციით შედეგად დაახლოებით 12% ტენიანობის მქონე გაფილტრული პროდუქტი (ტყვია-თუთიის კოლექტიური კონცენტრატი) მიეწოდება მზა პროდუქციის ბუნკერს და სარეალიზაციოდ ჩაიტვირთება ე.წ. „ბიგ ბეგებში“.

მადნეულის სპილენძ-პირიტის არსებული კუდსაცავი მდებარეობს გამამდიდრებელი ქარხნიდან დაახლოებით 2.5 კმ-ის დაშორებით, ბოლის-ხევის ნაკადულის ხეობაში. არსებული სპილენძ-პირიტის კუდსაცავის შემადგენლობაში შედის: გამამდიდრებელი ფაბრიკის მთავარ კორპუსში მდებარე სატუმბი

სადგური; ორი მაგისტრალური „პულპსადენი“ (400 X 10 მმ), აქედან ერთი სარეზერვო ხაზი. პულპსადენი მაგისტრალის მონაკვეთები შედგება, როგორც ფოლადის, ასევე პოლიეთილენის მილებისაგან; კაშხლის (დამბის) ბოლო იარუსზე მოწყობილი გამანაწილებელი პულპსადენის ხაზი; ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა, კერძოდ, ორი ტივტივა სატუმბი სადგური პონტონებზე (ერთი მუშა, მეორე სარეზერვო), რომლებიც შედგებიან ორ-ორი ტუმბოსაგან და უზრუნველყოფენ წყლის მიწოდებას კუდსაცავიდან გამამდიდრებელ ფაბრიკაზე; ფაბრიკაზე დაბრუნებული წყლის მილსადენი (დიამეტრი 400 მმ) და წყალამრიდი ნაგებობები.

გამამდიდრებელ ფაბრიკაში მიმდინარე მადნის გადამუშავების შედეგად დარჩენილი მასა, ე.წ. „კუდები“ და ყველა დანარჩენი ტექნოლოგიური ჩამონადენი (მათ შორის ასპირაციული სისტემებიდან ჩამოფრთხილი მტვერი, რომელიც გროვდება სპეციალურ არხში და ირეცხება წყლის ნაკადით, იატაკის მონარეცხი და ა.შ.), ჩაედინება გამამდიდრებელი ფაბრიკის ძირითად ზუმფში, საიდანაც ტუმბოებით ხდება ტრანსპორტირება 400 მმ დიამეტრის მაგისტრალური მილსადენების საშუალებით (პულპსადენი) კუდსაცავამდე. კუდსაცავის მოქმედი იარუსის გასწვრივ, მის მთელ სიგრძეზე, აღნიშნულ პულპსადენზე მიერთებულია კუდების გამანაწილებელი მილები, რომელთა მეშვეობით მიმდინარეობს კუდების თანმიმდევრული დალექვა კუდსაცავის პლაჟზე. პულპის დალექვის შედეგად კუდსაცავის ზედაპირი ფორმირდება ორ ზონად, პლაჟი და ტბორი, ამ უკანასკნელში დაყენებულია ორი ტივტივა „პონტონის“ სატუმბი სადგური, საიდანაც წარმოებს დაწმენდილი წყლის გადმოტუმბვა (დაბრუნება) გამამდიდრებელ ფაბრიკაში, ტექნოლოგიურ ციკლში ხელახლა გამოსაყენებლად.

გზშ-ის ანგარიშში აღწერილია სს „RMG Copper“-ის სანაყაროები და მათი მდგომარეობა. სს „RMG Copper“-ის ტერიტორიაზე განთავსებულია ფუჭი ქანების 4 (ოთხი) სანაყარო N: 1 (5), 2, 3 და 4. აღნიშნული სანაყაროებიდან მე-2 სანაყარო დახურულია და მასზე აღარ ხორციელდება ფუჭი ქანების განთავსება. ანგარიშის თანახმად, აღნიშნული სანაყაროების ფართობები არის: N1(5) - 73.2 ჰა, N2 - 46 ჰა, N3 - 78.3, N4 - 72.2 ჰა. ანგარიშის თანახმად, მიმდინარეობს მე-4 სანაყაროს განვითარება მის ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით არსებულ ფერდზე, რათა მოხდეს სანაყაროს ფერდის „მიბჯენა“ ბუნებრივი გორაკის ფერდზე, რაც გამოიწვევს აღნიშნული სანაყაროს ფართობისა და მოცულობის ცვლილებას, მაგრამ უზრუნველყოფს მის სტაბილურობას.

სამთო-გამამდიდრებელ საწარმოში წყალი გამოიყენება საწარმოო და სასმელ-სამეურნეო მიზნებისთვის. სასმელი წყალმომარაგება ხორციელდება შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელი, საიდანაც წყლის მიწოდება ხდება ყველა ტექნოლოგიურ უბანზე. საპროექტო სამსხვრევ დანადგარში მსხვრევა გათვალისწინებულია მშრალი მეთოდით, შესაბამისად წყლის გამოყენება არ ხდება. სამსხვრევის უბანზე წყალი გამოიყენება მხოლოდ ცხელ და მშრალ ამინდებში ამტვერების შესამცირებლად წყლის გამშხეფი სისტემის, ე.წ. „ნისლის წარმომქმნელი ქვემეხისთვის“. საწარმოო-ტექნოლოგიური წყალმომარაგების მიზნით საწარმოში დანერგილია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა. ჩამდინარე წყლების მართვის მიზნით სს „RMG Copper“-ს გააჩნია ბიოლოგიური და ქიმიური გამწმენდი ნაგებობები. გზშ-ის ანგარიშში განხილულია ჩამდინარე, მათ შორის სანიაღვრე წყლების მართვის საკითხები. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, სანიაღვრე წყლების მართვის გაუმჯობესების მიზნით, მადანსაზიდი გზის შუა წელში მოეწყო დამატებითი 30000 მ³ მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარი, სადაც კონცენტრირდება კარიერის მადანსაზიდი გზის ზედა არეალში მოდინებული სანიაღვრე წყლები. სანიაღვრე წყლების მართვის გაუმჯობესების მიზნით, მადანსაზიდი გზის და შპს „RMG Gold“-ის გროვული გამოტუტვის საწარმოო მოედნისაკენ მიმავალი გზის გასაყარზე ასევე დაგეგმილია დაახლოებით 5500 მ³ მოცულობის დამატებითი სანიაღვრე შემკრები აუზის მოწყობა, სადაც მოხდება კარიერის ზედა ნაწილში მოდინებული სანიაღვრე წყლების შეგროვება და

დალექვა ხარჯის რეგულირების მიზნით. გარდა ამისა, მცირე ავტოტრანსპორტის სამრეცხაო ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს გამამდიდრებელი ფაბრიკის საწარმოო ტერიტორიაზე, სადაც ასევე მოწყობილია სალექარი ავზების სამსაფეხურიანი კასკადი, მოეწყო დაახლოებით 4000 მ³ მოცულობის დამატებითი სალექარი, სამრეცხაოში გამოყენებული წყლის სათანადო მართვის მიზნით. მძიმე ავტოტრანსპორტის სამრეცხაო მოწყობილია საწარმოო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული ავტოსატრანსპორტო საამქროს ტერიტორიაზე, სადაც მიმდინარეობს ამავე ტრანსპორტის შეკეთება. სამრეცხაოს მიერ გამოყენებული წყლის მართვის მიზნით, მოწყობილია სალექარი ავზების სამსაფეხურიანი კასკადი და წყლისა და ნავთობის სეპარატორი. ორივე ზემოთ აღწერილი სამრეცხაოს წყლები, პოლიეთილენის მილების საშუალებით მიემართება მდ. კაზრეთულას ხეობისაკენ, სადაც ისინი ერთდება და ერთი მილის საშუალებით თვითდინებით გადადის ავტოტრანსპორტის საბურავების სამრეცხაო კვანძისაკენ. აღნიშნული კვანძი ემსახურება სს „RMG Copper“-ის საწარმოო ტერიტორიიდან გამომავალი ავტოტრანსპორტის საბურავების რეცხვას, სადაც ასევე მოწყობილია სალექარების კასკადი და დალექილი წყალი გადადის წყლის და ნავთობის სეპარატორში.

გზმ-ის ანგარიშში განხილულია საწარმოო ტერიტორიაზე წარმოქმნილი კარიერული მჟავე წყლის მართვის საკითხები. ანგარიშში ასევე განხილულია ფუჭი ქანის სანაყაროებიდან დრენირებული წყლის მართვის საკითხები. სს „RMG Copper“-ის საწარმოო ტერიტორიაზე მოწყობილია წყლის ორი ქიმიური გამწმენდი ნაგებობა. მდ. კაზრეთულას ხეობაში, აღდგენილი და მოწყობილია სანიაღვრე-სადრენაჟო დამბების კასკადი, სადაც თავს იყრის მე-2 სანაყაროდან გამონაჟონი და სხვა შესაძლო დიფუზიური ჩაშვების შედეგად წარმოქმნილი დაბინძურებული წყლები. N1 გამწმენდი ნაგებობა მოწყობილია კასკადის მიმდებარედ, მისი ბოლო ავზის შემდეგ, საიდანაც პირდაპირი მანძილი უახლოეს მოსახლემდე (დაბა კაზრეთი) შეადგენს დაახლოებით 127 მეტრს. N2 გამწმენდი ნაგებობა მდებარეობს მე-4 სანაყაროს ძირში, წყალშემკრები მარეგულირებელი ავზების მიმდებარედ, 500 მ² ფართობის მოედანზე. N1 გამწმენდი ნაგებობა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს N1 სანაყაროდან და მუდმივად N2 სანაყაროდან დრენირებული, ასევე სხვა შესაძლო დიფუზიური წყლის გაწმენდას, ხოლო N2 გამწმენდი ნაგებობა უზრუნველყოფს N4 სანაყაროდან დრენირებული წყლის გაწმენდას. გზმ-ის ანგარიშის შესაბამისად, მოცულობის ცვლილების გარეშე (6500 მ³) N1 გამწმენდ ნაგებობასთან არსებულ 3 სამსაფეხურიან წყალშემკრებ-სალექარს ჩაუტარდა მოდერნიზება. კასკადის პირველი მიმღები ავზი დამზადდა ბეტონისაგან, რაც დაგროვილი შლამის ტექნიკის საშუალებით ამოწმენდის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. ბეტონის მიმღების შემდეგ განლაგებულია ექვსი ერთმანეთთან დაკავშირებული წყალგაუმტარი, გეომემბრანით ამოგებული მიწის რეზერვუარები (სალექარი). ცვლილება ასევე შეეხო მე-4 სანაყაროს ქვეშ არსებული ავზების მიმდევრობას და მოცულობებს (საერთო მოცულობის გადაჭარბების გარეშე). წყალშემკრები ავზის საჭირო მოცულობა განისაზღვრა, ქიმიურად დაბინძურებული წყლების დებიტის და წყლის გამწმენდი მოწყობილობის წარმადობის გათვალისწინებით. მისი მოცულობა 8100 მ³-ს შეადგენს, ხოლო სარეზერვო ავზის მოცულობა - 1400 მ³-ს. პროექტის ფარგლებში N3 სანაყაროსთან გათვალისწინებულია, არსებული წყალშემკრები რეზერვუარიდან მოშორებით, დამჭერი ზუმფის მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს გაჟონილი წყლის აკუმულირებას და მის უკან წყალშემკრებ რეზერვუარში გადატუმბვას. ამასთან, რეზერვუარის გადავსების პრევენციის მიზნით რეზერვუარის ქვემოთ დაგეგმილია დამატებითი 2000 მ³ მოცულობის რეზერვუარის მოწყობა. ასევე გათვალისწინებულია N3 სანაყაროს მიმდებარე ფერდზე გამოვლენილი სუფთა წყლის ნაკადი, დაბინძურების პრევენციის მიზნით, მოექცეს არხში და დაუბრუნდეს ბუნებრივ კალაპოტს. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, წლის გარკვეულ პერიოდებში აღნიშნული წყლის ხარისხი არ აკმაყოფილებს საწარმოო მოთხოვნებს, შესაბამისად დაგეგმილია (საჭიროების შემთხვევაში) მე-3 სანაყაროს დრენირებული წყალი არსებული 100000 მ³ მოცულობის წყალშემკრები ავზის ნაცვლად პირდაპირ გადაიტუმბოს მე-4 სანაყაროს წყლის ქიმიურ გამწმენდ ნაგებობაში გასაწმენდად, რისთვისაც მე-3

სანაყაროს წვეროსკენ, არსებულ მილსადენს საკვალთის საშუალებით დაემატოს ერთი განშტოება - მილსადენი, რომლის საშუალებით დაუერთდება მე-4 სანაყაროზე განთავსებულ 1400 მ³ მოცულობის სარეზერვო ავზს, საიდანაც მოხვდება მე-4 სანაყაროს ქიმიურ გამწმენდ ნაგებობაში. წყლის მიღება N1 გამწმენდ ნაგებობაში ხდება წყალშემკრები კასკადის ბოლო ავზიდან, N2 გამწმენდი ნაგებობაში წყალშემკრები ავზიდან. თითოეული გამწმენდისთვის სპეციალური ტუმბოსა (FLYGT 2600 series) და პოლიეთილენის მილის საშუალებით. ტუმბო მთლიანად უჟანგავი ფოლადისგანაა დამზადებული და გამოცდილია 2 დან 10-მდე pH სიდიდის წყალზე მუშაობაზე. ტუმბოში შემავალი მილი აღჭურვილია 1 მმ-იანი ფილტრით. ტუმბოზე დამონტაჟებულია დონის მზომი სენსორი. გამწმენდი ნაგებობიდან კასკადამდე ასევე მოთავსებულია სადრენაჟო მილი. საწარმოო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების მართვა ხორციელდება საველე ბიოტუალეტებისა და ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის საშუალებით. სს „RMG Copper“-ის საწარმოს მიმდებარედ დაგეგმილია შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ სასარგებლო წიაღისეულის (ოქრო-პოლიმეტალური მადნების) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ბრძ. N2-812; 03.06.2021). შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ სასარგებლო წიაღისეულის (ოქრო-პოლიმეტალური მადნების) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის გზშ-ის ანგარიშის თანახმად, შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ საწარმოს ოპერირების პროცესში წარმოქმნილი ადმინისტრაციული და დამხმარე ბლოკების სამეურნეო-საყოფაცხოვრებო (საკანალიზაციო) წყლები შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე ჩაშვებული იქნება სს „RMG Copper“-ის ბიოლოგიურ გამწმენდ ნაგებობაში. შესაბამისად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ არსებული ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის წარმადობა გაიზარდოს დღე-ღამეში 150 მ³-დან 400 მ³-მდე, ასევე მოხდება რეზერვუარის პირველად სალექარად გადაკეთება, რომელიც განკუთვნილი იყო შლამსაცავისთვის; არსებული ბიოფილტრის გარდა დამატებით მოეწყობა 2 ცალი ბიოფილტრი. ბიოფილტრებად გადაკეთდება მექანიკური ფილტრები; მოეწყობა ოზონის თანაბარი განაწილების სისტემა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად დადგენილია ჩაშვების წერტილოვანი წყაროები, კერძოდ: ჩაშვება №1 - სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვება მდ. კაზრეთულაში (GPS კოორდინატები: X-451840; Y-4580745). ჩაშვება №2 - სანიაღვრე-სადრენაჟო („კასკადში“ დაგროვილი) ჩამდინარე წყლების ჩაშვება მდ. კაზრეთულაში (GPS კოორდინატები: X-451749; Y-4581106). ჩაშვება №3 - საწარმოო (სამრეცხაო N1 - სპეცტრანსპორტის ფარეხის ავტოსამრეცხაოდან, სამრეცხაო N2 - მადანსაზიდი ავტოტრანსპორტის სამრეცხაოდან და სამრეცხაო N3 - ავტოსამრეცხაოდან - ერთობლივი ჩაშვება) ჩამდინარე წყლების ჩაშვება მდ. მაშავერაში (GPS კოორდინატები: X-451558; Y-4582286). ჩაშვება №4 - ფუჭი ქანების №4 სანაყაროდან დრენირებული ჩამდინარე წყლების ჩაშვება (GPS კოორდინატები: X-459645; Y-4580586) მდ. ფოლადაურში.

სს „RMG Copper“-ს საწარმოო ტერიტორიაზე გააჩნია ავტოგასამართი სადგური, რომელზეც 2018 წლის 16 ნოემბერს გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-926) და საქმიანობა არ დაექვემდებარა გზშ-ის პროცედურას. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია, ასევე არსებული ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე დამატებით 2 ერთეული (თითო 22 ტ მოცულობის) მობილური რეზერვუარის მოწყობა და ჯამური მოცულობის (88 ტონა) გაზრდა 132 ტ-მდე. ამასთან, კომპანია გეგმავს საწარმოს ტერიტორიაზე ორი ერთეული კონტეინერის ტიპის მობილური სადგურის (ბენზინი - 300 ტ/წ, ხოლო დიზელი - 200 ტ/წ) მოწყობას. მობილური სადგურები განკუთვნილია ჯამურად 30000 ლ საწვავის შენახვა-მოხმარებისთვის.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო ბანაკის საჭიროება არ არსებობს. სამშენებლო მასალების დასაწყობებისათვის გამოყენებული იქნება სს „RMG Copper“-ის არსებული ინფრასტრუქტურა. პროექტით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობა დაკავშირებული იქნება მიწის სამუშაოებთან სპეციალური ტექნიკის გამოყენებით (ექსკავატორები, ბულდოზერები სატვირთო ავტოტრანსპორტი და ა.შ).

სამშენებლო მანქანების, მექანიზმებისა და ავტოტრანსპორტის შეკეთება შესრულდება კომპანიის საწარმოო ტერიტორიაზე.

როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე ინფრასტრუქტურის ელექტრომომარაგება განხორციელდება არსებული ქსელიდან. მშენებლობის ეტაპზე, საჭიროების შემთხვევაში, სარეზერვო ელექტროენერგიით უზრუნველყოფისთვის გამოყენებული იქნება გენერატორი. გარე ტვირთებისა და მოწყობილობა-დანადგარების ტრანსპორტირებისათვის გამოიყენება ძირითადად საავტომობილო ტრანსპორტი. ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის ავტომაგისტრალი წარმოადგენს ძირითად დამაკავშირებელ არტერიას სამშენებლო მოედანთან.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საწარმოო არეალის მიმდებარე ტერიტორიებზე ჩატარებული ბიომრავალფეროვნების კვლევების შედეგები, შეფასებულია საქმიანობის განხორციელების შედეგად ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების მასშტაბი და წარმოდგენილია შესაბამისი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებები.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილი ცვლილებებით გათვალისწინებული საპროექტო კუდების შემსქელებლის და სატუმბი ინფრასტრუქტურის, სამსხვრევი კვანძის, ჩატვირთვის უბნის, ტყვია-თუთიის კოლექტიური კონცენტრატის შემსქელებლის, სხვადასხვა ზომის მიწის გუბურების, მობილური რეზერვუარების და სადგურის მშენებლობა/მოწყობა გათვალისწინებულია სს „RMG Copper“-ის საწარმოო არეალის ფარგლებში, რომლებიც მოქცეულია მაღალი ანთროპოგენული ზემოქმედების ქვეშ და პრაქტიკულად არ არის ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის და ხე-ტყის ჭრის საჭიროება. დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და ხე-მცენარეების ჭრის სამუშაოები გათვალისწინებულია მხოლოდ გზების მოსაწყობად გამოყოფილ ტერიტორიაზე (ფართობით 9600 მ²), რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ტყეს. გზმ-ის ანგარიშს თან ერთვის პროექტის ზემოქმედების არეალში ტყის ტაქსაციის მასალები. გათვალისწინებულია გარემოდან 5 სახეობის ამოღება, რომლებიცაა იფანი (*Fraxinus excelsior*), ჯაგრცხილა (*Carpinus orientalis*), ნეკერჩხალი (*Acer*), ქართული მუხა (*Quercus petraea subsp. Iberica (syn. Q. iberica)*), რცხილა (*Carpinus betulus (syn. C. caucasica)*). გარემოდან ამოსადები ხეების ჯამური რიცხოვნობაა 168 ცალი 8 სმ და მეტი დიამეტრის მქონე ხე. მერქნის მოცულობის მიხედვით გარემოდან მოხდება დაახლოებით 19.89 მ³ მერქნის ამოღება.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით წარმოდგენილი ტერიტორიიდან 5991239 მ² (599 ჰა) ფართობი წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს და მდებარეობს ბოლნისი-დმანისის სატყეო უბნის კაზრეთის სატყეოში. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ტყის ფართობებზე არ ფიქსირდება სარგებლობა, საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან.

გზმ-ს ანგარიშის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ფარგლებში 9600 მ² მიწის ფართობზე, დადგენილი პროცედურის შესაბამისად, სს „RMG Copper“-მა მიმართა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2023 წლის 11 ოქტომბრის N2500/ს ბრძანებით კომპანიას მიენიჭა სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის ბოლნისი-დმანისის სატყეო უბანში, 9600 მ² მიწის ფართობზე განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ, მათ შორის მდ. მაშავერასა და მდ. კაზრეთულას ხეობებში ჩატარებელი ფაუნისტური კვლევების შესაბამისად, დაფიქსირებულ იქნა „წითელი

ნუსხით“ დაცული სახეობა - ევრაზიული წავი (*Lutra lutra*). ე.წ. „წყალზე დამოკიდებულ“ სახეობებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირების მიზნით, ანგარიშში გათვალისწინებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებული დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების მუდმივი კონტროლი.

დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება მოსალოდნელია სამშენებლო სამუშაოების წარმოების ეტაპზე. გზმ-ის ანგარიშისა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში შეფასებულია საწარმოსა და მიმდებარე ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებით გამოწვეული ზეგავლენა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მისი უმთავრესი ასპექტების გათვალისწინებით. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ეტაპზე სამშენებლო სამუშაოების მცირე მოცულობიდან გამომდინარე, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის 32 წყარო, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის დამატებით წყაროს წარმოადგენს მადნის დამატებითი მიმღები ბუნკერი და საპროექტო სამსხვრევი კვანძი. მტვრის გავრცელების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით სამსხვრევი კვანძზე მადნის ჩაყრისა და გადატანის პუნქტებზე გათვალისწინებულია წყლის სტაციონარული სისტემების დამონტაჟება და ლენტური კონვეიერების სექციების გადახურვა. ცხელ და მშრალ ამინდებში ამტკვრების შესამცირებლად სამსხვრევის ტერიტორიაზე გამოყენებული იქნება გადაადგილებადი წყლის გამშხეფი სისტემა ე.წ. „ნისლის წარმომქმნელი ქვემეხი“. ამასთან, სამსხვრევის და მადნის მიმღები მოედნის ტერიტორიაზე მისასვლელი გზის მონაკვეთები პერიოდულად მოირწყება. ობიექტის ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: რკინის ოქსიდი, მანგანუმი და მისი ნაერთები, აზოტის (IV) ოქსიდი (აზოტის დიოქსიდი), აზოტის (II) ოქსიდი (აზოტის ოქსიდი), მარილმჟავა, გოგირდმჟავა, გოგირდწყალბადი, ნაჯერი ნახშირწყალბადები C₁-C₅, ნაჯერი ნახშირწყალბადები C₆-C₁₀, ბენზოლი, ქსილოლი, ტოლუოლი, ეთილბენზოლი, ნახშირბადის ოქსიდი, აირადი ფტორიდები, სუსტად ხსნადი ფტორიდები, ნაჯერი ნახშირწყალბადები C₁₂-C₁₉, შეწონილი ნაწილაკები, არაორგანული მტვერი: 70-20% SiO₂. გაბნევის ანგარიში შესრულებულია ობიექტის სრული სამუშაო დატვირთვის დროს, რომელშიც ფონური კონცენტრაციების მნიშვნელობების სახით გათვალისწინებულია შპს „RMG Gold“-ის და შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ ყველა ის წყარო, რომელთა გაფრქვევებშიც აღრიცხული მავნე ნივთიერებები იდენტურია სს „RMG Copper“-ის წყაროებისა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციები არ აჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობებს ობიექტიდან, როგორც უახლოესი საცხოვრებელი სახლების საზღვარზე, ასევე 500 მ-ნი რადიუსის საზღვარზე, (500 მ-ნი ნორმირებული საზღვარი გათვალისწინებულია ასევე შპს „RMG Gold“-ის და შპს „არემჯი აურამაინ“-ის საწარმო საზღვრიდან) ამდენად საწარმოს ფუნქციონირებისას მიღებული გაფრქვევები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები. მაქსიმალური კონცენტრაცია მავნე ნივთიერებებისა საკონტროლო წერტილებში არ აჭარბებს 0,2 მგ/მ³ (ზდკ-ს წილი შეწონილი ნაწილაკების) მაჩვენებელს. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ადგილობრივი რეცეპტორების და ზემოქმედების წყაროების გათვალისწინებით ეკოლოგიური ასპექტების და დადგენილი საკონტროლო ღონისძიებების საფუძველზე შესაბამისი პერიოდულობით განხორციელდება ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი საწარმოო ზონის მიმდებარე ტერიტორიებზე და დაბა კაზრეთის უახლოეს საცხოვრებელ სახლებთან, ხოლო მავნე

ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციის ზღვართან მიახლოების ან გადაჭარბების შემთხვევაში, კომპანია უზრუნველყოფს შესაბამის შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე ხმაურის გავრცელება დაკავშირებული იქნება მოსამზადებელ და სამშენებლო სამუშაოებში ჩართული ტექნიკის მუშაობასთან. ხმაურით გამოწვეული ზემოქმედების გაანგარიშება ჩატარებულია 3 ერთეულის ტექნიკის მუშაობის შემთხვევისთვის (დაგეგმილი სამუშაოებიდან გამომდინარე ყველაზე უარესი სცენარი), ხმაურის მინიმალური ეკრანირების გათვალისწინებით. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ხმაურის გაანგარიშების შედეგად უახლოეს მოსახლემდე (დაბა კაზრეთი) ხმაურის დონეს შეადგენს 49.81 დბა-ს. გასათვალისწინებელია, რომ ხმაურის წყაროებსა და უახლოეს საცხოვრებელ სახლს შორის არსებობს ბუნებრივი ბარიერები, რომლებიც ამცირებს ხმაურის გავრცელების დონეს. ამასთან, ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირების მიზნით დაგეგმილია სამშენებლო პერიმეტრის ღობით (აკუსტიკური ეკრანი) შემოსაზღვრა, რაც საანგარიშო წერტილში ხმაურის გავრცელების დონეს შეამცირებს 30-35 ერთეულით. დოკუმენტაციის თანახმად, ღამის საათებში სამშენებლო/მოწყობის სამუშაოები არ განხორციელდება.

ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენს ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ხმაურის გავრცელების პროცესში სს „RMG Copper“-ის გამამდიდრებელი საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული ხმაურის წყაროების (მათ შორის საპროექტო სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის) გარდა შეფასდა შპს „RMG Gold“-ის კვარციტის და შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ ახალი საწარმოს პროცესში ჩართული ხმაურის წყაროებიც. გაანგარიშების მიხედვით, საკონტროლო წერტილებში (უახლოეს საცხოვრებელ სახლებთან) მიღებული შედეგები (38.90 დბა, 36.00 დბა, 28.50 დბა) არ აჭარბებს მოქმედი საკანონმდებლო ნორმებით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ მაჩვენებლებს. ხმაურის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ასევე დასახლებული პუნქტების გავლით მადნის ტრანსპორტირება, რასთან დაკავშირებითაც გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის დოკუმენტაციის თანახმად, საბადოებიდან/კარიერებიდან გამომავალ სატრანსპორტო გზებზე, რომლებიც ხვდება დასახლებულ პუნქტებში, ღამის საათებში მადნის ტრანსპორტირება არ განხორციელდება.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიებზე განხორციელდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა. გამამდიდრებელი ქარხნის კუდების ახალი შემსქელებლების, სატუმბი ინფრასტრუქტურის და საავარიო აუზის განთავსების, ასევე საპროექტო სამსხვრევი კვანძის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განთავსების ტერიტორიებზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის თანახმად, ზემოაღნიშნული ტერიტორიები ძირითადად მდგრადია და რაიმე მნიშვნელოვანი სახის საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების კვალი არ დაფიქსირებულა. საპროექტო ტერიტორიებზე და მათ უშუალო სიახლოვეს არ შეიმჩნევა უარყოფითი გეოდინამიკური (ფიზიკურ-გეოლოგიური) მოვლენა, რომელიც პოტენციურ საფრთხეს შეუქმნის საპროექტო შენობა-ნაგებობებს, მათი მოწყობის ან ექსპლუატაციის პერიოდში.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა, საპროექტო მისასვლელი გზის მოწყობისთვის შერჩეულ ტერიტორიაზე, შეადგენს დაახლოებით - 960 მ³-ს (ნაყოფიერი ფენის საშუალო სისქედ აღებული იქნა 10 სმ). ნიადაგის ჭრილების ადგილმდებარეობის GPS კოორდინატებია 1) X-452494, Y-4580335; 2) X-452511, Y-4580301; 3) X-452547, Y-4580306; 4) X-452558, Y-4580334; 5) X-452625, Y-4580343; 6) X-452615, Y- 4580315. მოხსნილი ნაყოფიერი ფენის ნაწილი (მოცულობის გათვალისწინებით) შესაძლებელია ასევე გამოყენებული იქნეს სატრანსპორტო გზის ზოგიერთ მონაკვეთში, ნაყარის ფერდების ბუნებრივი რემედიაციის ხელშეწყობის მიზნით.

წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან ახლავს სს „RMG Copper“-ის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია. ასევე, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, სს „RMG Copper“-ის საწარმოს ტერიტორია მოიცავს სს „RMG Copper“-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიების: N10002890 (ოქრო; სპილენძი), N666 (ტუფობრექია) და შპს „კავკასიის სამთო ჯგუფზე“ გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის (ლიცენზია-ბრძანება N430) კონტურებს. გარდა ამისა, ტერიტორია ასევე მოიცავს სასარგებლო წიაღისეულის სახელმწიფო ბალანსზე რიცხულ კაზრეთის ტუფობრექიის საბადოს კონტურს. სააგენტოს ცნობით, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში – აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე.

გზმ-ის ანგარიშში შეფასებულია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედება. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე სხვადასხვა ეტაპზე განხორციელებული პირველი და მეორე ეტაპით გათვალისწინებული არქეოლოგიური კვლევით ტერიტორიაზე არქეოლოგიური ობიექტების არსებობა არ დადასტურდა. ასევე, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით საპროექტო ტერიტორიის გარშემო არაერთი კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლია, რომელთაგან ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი - კაზრეთის სამება უშუალოდ კაზრეთის ქარხნის გვერდით დგას. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ატმოსფერულ ჰაერში მტვრის და ხმაურის გავრცელებით შესაძლო ზემოქმედებების შემცირების მიზნით, გზმ-ის ანგარიშში მოცემულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში გზმ-ის ანგარიშზე შენიშვნები არ გააჩნია.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების დროს ადგილი ექნება ვიზუალურ-ლანდშაფტურ ზემოქმედებას, სატრანსპორტო ნაკადების ზრდის, მომუშავე ტექნიკის, მშენებარე კონსტრუქციების, სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების არსებობის გამო. დოკუმენტაციის თანახმად, მშენებლობის პროცესში მასალებისა და ნარჩენების დასაწყობება მოხდება ვიზუალური რეცეპტორებისთვის შეძლებისდაგვარად შეუმჩნეველ ადგილებში. ამასთან, მშენებლობის დასრულებისთანავე მოხდება აღნიშნული ინფრასტრუქტურის გაუქმება და ტერიტორიის გასუფთავება. შემსქელებლისა და სატუმბი ინფრასტრუქტურის, სამსხვრევი კვანძის, ჩატვირთვის უბნის, ტყვია-თუთის კოლექტიური კონცენტრატის შემსქელებლის, სხვადასხვა ზომის მიწის გუბურების, მობილური რეზერვუარის და სადგურის მოწყობა დაგეგმილია სს „RMG Copper“-ის არსებული მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის მიმდებარედ, სადაც ჩამოყალიბებულია ტექნოგენური ლანდშაფტი და ათწლეულების განმავლობაში განთავსებულია სხვადასხვა ტიპის საწარმოო ობიექტები. აღნიშნული ინფრასტრუქტურის მოწყობის პროცესში სამშენებლო პერიმეტრი შემოსაზღვრული იქნება ღობით, რაც თავის მხრივ განიხილება ვიზუალური ზემოქმედების შემარბილებელ ღონისძიებად. სამსხვრევი კვანძის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის შერჩეული იქნა გამამდიდრებელი საწარმოს მადნის მიმდები მოედნის მიმდებარე ტერიტორია. მოსახლეობას შორის არსებული რელიეფური და ხელოვნური (არსებული შენობა/ნაგებობები) ბარიერების და დასახლებული პუნქტების ჰიფსომეტრიული სხვაობიდან გამომდინარე საპროექტო ინფრასტრუქტურა ვიზუალური თვალთახედვის არეალში არ ექცევა. შესაბამისად, მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპი არ იქნება დაკავშირებული ვიზუალურ ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ეტაპზე მოსალოდნელია როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. საწარმოში ნარჩენების

შეგროვება ხდება სეპარირებულად, რისთვისაც ტერიტორიაზე მოწყობილია ნარჩენების დროებითი განთავსების უბნები. საწარმოს ტერიტორიაზე, განსაზღვრულ ადგილებში განთავსდება მარკირებული, სპეციალური პლასტმასის კონტეინერები საყოფაცხოვრებო და გადამუშავებადი (რეციკლირებადი) ნარჩენებისათვის ცალ-ცალკე, ასევე სახიფათო ნარჩენებისათვის განთავსდება შესაბამისი ზომისა და ტიპის კონტეინერები. ტერიტორიიდან ნარჩენების გატანა/გადამუშავებას უზრუნველყოფენ შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორი კომპანიები.

გზმ-ის ანგარიშში შეფასებულია საქმიანობის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება გარემოს კომპონენტებზე მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე. დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით დაგეგმილი მოწყობითი/სამშენებლო სამუშაოები სხვადასხვა სფეროს განეკუთვნება. ამასთან, მათი მშენებლობა/მოწყობა განხორციელდება სხვადასხვა დროს და განსხვავებული ხანგრძლივობით. შესაბამისად, სამშენებლო/მოწყობითი სამუშაოებისას მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. გზმ-ის ანგარიშში კუმულაციური ზემოქმედება ასევე შეფასებულია საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის, ხმაურის გავრცელების და სატრანსპორტო ნაკადების გაზრდის კუთხით. ანგარიშის მიხედვით, სს „RMG Copper“-ის, შპს „RMG Gold“-ის (კვარციტი) და შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ საწარმოების ფუნქციონირების პროცესში გაფრქვევების თითოეულ წყაროზე გათვალისწინებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მავნე ნივთიერებების გაფრქვევით გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედების მნიშვნელოვნად შემცირებას. ხმაურის გავრცელება შეფასების შედეგების და სს „RMG Copper“-ის, შპს „RMG Gold“-ის (კვარციტი) და შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ მიერ მიმდინარე/დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების (მათ შორის ხმაურწარმომქმნელი მანქანა-დანადგარების დახურულ შენობებში განთავსება) გათვალისწინებით ხმაურის გავრცელებით გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედება მნიშვნელოვნად შემცირდება. სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება დაკავშირებულია მადნეულის, საყდრისის, ბნელი ხევის, მუშევანი 2-ის და ბექთაქარის საბადოებიდან/კარიერებიდან მადნის ტრანსპორტირების პროცესთან. ტრანსპორტის ინტენსიური გადაადგილების შედეგად დაბა კაზრეთის მიმდებარედ არსებულ შიდა ურბანული და საქალაქთაშორისო საავტომობილო გზებზე არსებულ სატრანსპორტო ნაკადებზე გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედების შერბილების მიზნით, კომპანიას შემუშავებული აქვს მადნის ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი, სადაც ასევე გათვალისწინებულია შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე სატრანსპორტო ოპერაციები. გარდა ამისა, გზმ-ის ანგარიშში განსაზღვრულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაში და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2023 წლის 3 ოქტომბერს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის, დაბა კაზრეთის საზოგადოების ცენტრის შენობაში/მიმდებარე ტერიტორიაზე. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, სს „RMG Copper“-ის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. პრეზენტაციის წარდგენის შემდგომ სხდომა გადავიდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. საჯარო განხილვაზე დასმული კითხვები ეხებოდა დანამვის სისტემას, შეცვლილი კლიმატური პირობების ფონზე, მეწყრული პროცესების სიხშირის

საკითხსა და შესაბამისად კუდსაცავის მონიტორინგის სისტემის კონტროლის სიხშირეს. აღნიშნულთან დაკავშირებით, კომპანიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ საწარმო ტერიტორიაზე დამონტაჟებულია კონვეიერული მორწყვის სისტემა და წყლის საშხეფი სისტემა. რაც შეეხება მონიტორინგის სიხშირეს, სს „RMG Copper“-ის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კომპანიის მხრიდან მიმდინარეობს კუდსაცავის ყოველდღიური/მუდმივი მონიტორინგი. საჯარო განხილვაზე გამოთქმული კითხვები და მოსაზრებები, შესაბამისი განმარტებებით აისახა გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის სხდომის ოქმში. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით სააგენტოში საზოგადოების მხრიდან წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის ინფორმაცია სს „RMG Copper“-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით (საწარმოს წარმადობის გაზრდა და დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა) მოსალოდნელი ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, არსებული საწარმოს და ინფრასტრუქტურული ობიექტების ექსპლუატაციის შეწყვეტის პირობები, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-12 მუხლის, ასევე II დანართის მე-5 პუნქტის, 5.1. ქვეპუნქტისა და მე-9 პუნქტის 9.9. ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სს „RMG Copper“-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (საწარმოს წარმადობის გაზრდა და დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა);
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. **სს „RMG Copper“-მა** საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების, შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
4. **სს „RMG Copper“-მა** ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს წავსა და საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებულ წითელი ნუსხით დაცულ სხვა სახეობებზე მონიტორინგის განხორციელება და მონიტორინგის შედეგების წელიწადში ერთხელ სააგენტოში წარმოდგენა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განისაზღვროს დამატებითი შემარბილებელი ან/და საკომპენსაციო ღონისძიებები;
5. **სს „RMG Copper“-მა** ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ხეების ჭრის შედეგად ცხოველებსა და ჰაბიტატებზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკომპენსაციო ღონისძიებების გეგმა-გრაფიკის სამინისტროსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც ასახული იქნება სათანადო კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია, ზემოქმედებას დაქვემდებარებულ (განადგურება, დეგრადაცია, ფრაგმენტაცია) ჰაბიტატებსა და მათზე მობინადრე ცხოველთა სახეობებზე. სს „RMG Copper“-მა საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელება უზრუნველყოს შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად;
6. **სს „RMG Copper“-მა** ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს განახლებული ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211

- ბრძანების შესაბამისად, ხოლო ნარჩენების მართვა განახორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების და სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;
7. **სს „RMG Copper“-მა** ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგი უზრუნველყოს მონიტორინგის გეგმისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის №413 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად;
 8. **სს „RMG Copper“-მა** გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან სამი თვის ვადაში უზრუნველყოს საწარმოს მთავარი კორპუსის სააკუმულაციო ბუნკერებზე მტვერდამჭერი სისტემის მოწყობა;
 9. **სს „RMG Copper“-მა** ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დაცვა და ჩაშვებული დამაბინძურებელ ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული „ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმების“ შესაბამისად;
 10. სანაყაროების გამოტუტვისა და დრენირებული მჟავე წყლების წარმოქმნის ხანგრძლივი პროცესის გათვალისწინებით **სს „RMG Copper“-მა** არსებული ქიმიური გამწმენდი ნაგებობების ექსპლუატაცია უზრუნველყოს საბადოს მარაგების ამოწურვისა და წარმოების დახურვის შემდეგაც, სულ მცირე 6 წლის განმავლობაში;
 11. **სს „RMG Copper“-მა** სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, ნებისმიერი ქმედება განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმებით;
 12. **სს „RMG Copper“-მა** საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;
 13. **სს „RMG Copper“-მა** არსებული სანაყაროების სტაბილიზაციის ღონისძიებების გატარებამდე/გაფართოებამდე უზრუნველყოს შესაბამისი პროექტ(ებ)ის სააგენტოსთან შეთანხმება;
 14. **სს „RMG Copper“-მა** ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს გარემოსდაცვითი მონიტორინგის განხორციელება გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი, ასევე სააგენტოსთან შეთანხმებული მონიტორინგის გეგმ(ებ)ის შესაბამისად და შედეგების წელიწადში ერთხელ სააგენტოში განსახილველად წარმოდგენა, საჭიროების შემთხვევაში შემდგომი ღონისძიებების დასახვა/განხორციელების მიზნით;
 15. **სს „RMG Copper“-მა** საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების შესაბამისად;
 16. **სს „RMG Copper“-მა** ექსპლუატაციის პირობების ცვლილებისა (საწარმოს წარმადობის გაზრდა და დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა) და ექსპლუატაციის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;

17. სს „RMG Copper“-მა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
18. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „RMG Copper“-ს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
19. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „RMG Copper“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
20. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
21. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

